



ნ 45/1581

PX 4829/1.



ქართული
საქმიანობა

ბიოგრაფია



1998

წმიდათაგან ყველაზე გამორჩეულად საქართველოში წმიდა გიორგის იხსენიებენ. უფრო მეტიც, გადმოცემის მიხედვით თითქმის ყოველ დღე ხდებოდა მისი ხსენება. ამაზე მოწმობს წლის ყოველი დღის ის 365 წმიდა გიორგის ლოცვა, რომელიც ქართულ ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს და რომელიც დაკავშირებული იყო წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულთან.

საქართველოში არსებობს წმიდა გიორგის 365 ნაწილი.

„არა არს ბორცვნი და მალალი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შუენიერნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“. — წერს ვახუშტი ბატონიშვილი. ამიტომაცაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს დღემდე წმიდა გიორგის რომ უკავშირებენ და „გიორგიად“ მოიხსენიებენ.

წმიდა გიორგი მეთხე საუკუნეში ცხოვრობდა. იგი იმპერატორ დიოკლეტიანეს მხედრობას მეთაურობდა. როცა იწყეს ქრისტიანთა დევნა პირდაპირ იმპერატორს განუცხადა გიორგიმ:

— დიდხანს აპირებთ ასე გაგრძელებას?! ჩვენ ზომ ჭეშმარიტ ღმერთს ვაღიარებთ.

ასეთმა პირდაპირმა აღიარებამ საშინლად გააშმაგა იმპერატორი, შეაპყრობინა იგი და მთელი სისასტიკით აწამებინა. მაინც ვერ მოდრიკა ქრისტეს მხურვალე აღმსარებელი. წამებისას ღონემიხდელი ასეთი სიტყვებით აგულიანებდა ჯალათს:

— თქვენ უფრო მალე დაგლით ჩემი წამება,

ვიდრე მე, რადგან მე არ ვაპირებ ქრისტეს უარყოფასო.

მაშინ ბრძანა იმპერატორმა უფრო სასტიკი რამ მოეგონებინათ გიორგის საწამებლად. და მოიტანეს ურმის ბორბალი. გაუყარეს გარშემო ბასრი დანები. დააკრეს მასზე გიორგი და იწყეს ბორბლის ტრიალი. დაესერა სულ მთლიანად სხეული გიორგის, დასდინდა სისხლი. სწორედ ამ დროს ჩაესმა ხმა უფლისა:

— მე შენთანა ვარ გიორგი. ნუ შეშინდები. და გაუმთელდა ტანზე იარები.

ამ სასწაულის მოწმე ადამიანებმა მაშინვე აღიარეს ქრისტე. მათ შორის იყო იმპერატორის მეუღლეც ალექსანდრა.

ეს მოხდა 23 (ძვ.სტ. 10) ნოემბერს. გადმოცემის მიხედვით წმიდა ნინოს დაუდგენია ამ დღესასწაულის ყოველწლიურად მოხსენიება. წმიდა ნინო წმიდა გიორგის ნათესავი იყო და სწორედ მან უანდერძა თავის სამწყსოს დიდმოწამისადმი ასეთი სიყვარული. ქართველები წმიდა გიორგის საპატივცემულოდ ნოემბრის თვეს გიორგობადაც მოიხსენიებენ.

ისტორია გვიამბობს ბევრ ამბავს წმიდა გიორგის სასწაულებზე. იგი ხილულადაც ბევრჯერ შეწევია ქართულ ლაშქარს ბრძოლებში. დღემდე გრძელდება წმიდა გიორგის მიერ მოხდენილი სასწაულები. ასე აძლიერებს იგი რწმენაში მორწმუნეებს, ურწმუნოთ კი თვალნათლივ და ხელშესახებად აჯერებს ღვთის არსებობაში.

ამასთან დაკავშირებით მინდა გიამბოთ ერთი ამბავი. ერთი კაცისთვის უთქვამთ:

— ასე ნუ იქცევი, თორემ წმიდა გიორგი დაგსჯისო. — და წმიდანს სატისენს გატყვევრიათ ხელი.

მისულა კაცი ხატთან და უტყავბა თითი მისთვის სიტყვებით:

— ამან როგორ უნდა დამსაჯოსო.

მიწებებია თითი ხატზე და ვერაფრით ვერ მოუშორებია იგი. ან ხატი უნდა დაეჭრათ ან კაცისათვის უნდა მოეჭრათ თითის ნაწილი. ხატს, რაღა თქმა უნდა, ვერავენ გაუბედა დაჭრა, იძულებულნი გახდნენ კაცისთვის წაეჭრათ თითის ნაწილი. პოდა ასეთ ურწმუნოთათვის იმ ხატზე დღემდე ასეა იმ თითის ნაწილი მიწებებული.

ნუ მივემსგავსებით უგუნურობით ასეთ ურწმუნოებს, ნურც სისასტიკით დიოკლეტიანეს, რწმენით აღვივსოთ და ასე ვუგალობოთ ძლევამომოსილ დიდმოწამე გიორგის:

„მეფე უგუნური (დიოკლეტიანე) ესწრაფა სიკვდილსა შენსა, ჭირთა დამთმენელო გიორგი, და ვითარცა მგელსა შშიერსა, სწყუროდა სისხლი შენნი, ამისთვისცა ბრძანა ურმის თვალსა ზედა წამებაი და საშინელთა სატანჯველთა მიცემაი შენი, ხოლო შენ უფლისა მიერ ყოველივეს დამთმენელო, სასოებით მტკიცედ ხმობდი ღმერთსა, ალილუია.

გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო, ქართველთა ერისაო და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო, გიხაროდენ, ძლევამომოსილო დილო მოწამეო გიორგი“.